



გაზეთი გაემოდის  
1930 წლის 5  
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

# მაცნე

## სამბრაღიის

N15 (9231)

31 მაისი, 2017 წელი

ფასი 50 თეთრი

### კაცუაჩა ნყარი!

2



5

ქართული ტერიტორიის სეკე

### როსა ქაღაქის იერსახეა არ ჰზრუნავთ



“თა ქაღაქს თუკ” №54-კ  
სააჩუქნა თუქში

3

ჯაბაერ საქაღაქა ფაზაურთის ქართულ  
გულშემატკივართა ქაღაქი



ახალსოფლის  
ბორანი  
სტიქიას  
ბაღაურჩა

ფუჭეუმაგის საართაშორისო  
ღღუსთან ღაკაჭობრებით  
ღიღი ნიქოს შესახებ

### მირსებს შებოჭებული ბავშვობის მიჯნაზე

4

“რაც ჩოსოსანი ბავსღი,  
სურბილი მაქვს უბეთესი ბავსღე”



7



ბავშვთა  
ღაჭვის  
ღღუს  
მიღოსავთ,  
ბავშვებო!

# როსა ქალაქის იერსახეზე არ ვზრუნავთ

## 6060 ნაწილაკებით

“შევისყიდა თმას, მსურველებმა მოგვმართონ მისამართზე, ან დაგვირეკონ ტელეფონზე”. “ვეფხისტყაოსნის” მისაღებ ფასში გამოგვეხმაურეთ”. – ამ უწყინარ განცხადებებს თითქოს არავისთვის შეუძლია ზიანის მოტანა, თუმცა თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ რეკლამებს მოსახლეობა ქუჩებში, გაუთვალისწინებელ ადგილებში, შენობებზე, ბოძებზე აკრავს, რაც თავისთავად არასწორი საქციელია, საზოგადოების დიდი ნაწილის გაღიზიანებას იწვევს. მათ შორის არის ნელი ადამია, რო-

მლის კვების ობიექტს მსგავსი ტიპის განცხადებების გასაკრავად ხშირად იყენებენ: “მოვლივარ დილით და რესტორანს ‘ევროპის’ კედლებზე ვნახულობ სხვადასხვა შინაარსის განცხადებებს. რა თქმა უნდა, არ მსიამოვნებს, აუცილებელია, ქალაქში სპეციალური ადგილი გამოიყოს, სადაც საინფორმაციო და სარეკლამო ხასიათის განცხადებებს გააკრავენ”.

უფრო მეტად ქალაქში ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე: გარე განათების ბოძებზე, მგზავრთა მოსაცდელზე, კორპუსების კედლებზე ხშირია სხვადასხვა სახის სარეკლამო და საინფორმაცი-

ო განცხადებების განთავსების ფაქტები. დაინტერესებული პირები, როგორც წესი, ზემოაღნიშნულ წარწერებს ადგილობრივ თვითმმართველობასთან და კერძო მესაკუთრეებთან შეუთანხმებლად ახორციელებენ.

ხშირ შემთხვევაში ირდევია იმ პირთა უფლებები, რომელთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე თვითნებურად ხდება სარეკლამო და საინფორმაციო განცხადებები, გაკვრა, რაც საბოლოო ჯამში ქალაქის დაბინძურების ერთ-ერთ სერიოზულ ელემენტად იქცევა.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურის მიერ კონკრეტ-

ული პირის მიმართ პასუხის მოთხოვნა ასეთი წარმოქმნილი ნარჩენებისთვის ძალიან რთული და პრაქტიკულად შეუძლებელია.

დავით ბახტაძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე: “ჩვენ არ გავგანხიანებ ბერკეტი, რომლითაც მსგავსი ქმედების შემთხვევაში მოქალაქეებს დავსჯით, უფრო სწორად, დავაჯარიმებთ. უნდა იყოს რეკლამის განთავსების რეგულირების წესი. თუმცა საკრებულოს აქვს მიღებული დადგენილება, რითაც ერთი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. სამტრედიაში, ქალაქის ტერიტორიაზე უნდა გამოიყოს სპეციალური ადგილი, სა-


დაც მსურველები განცხადებებს გამოაკრავენ. არც ჩვენ მოგვწონს აჭრელებული შენობის ფასადები, განცხადებების ჩამოყრის შემთხვევაში დაბინძურებული ქუჩები. მომხრე და მოსურნე ვარ, ქალაქის იერსახე გაუმჯობესდეს და საზოგადოება მიეჩვიოს წესრიგს”.

რეკლამის განთავსების წესის მიღება მუნიციპალიტეტში იმდენია, ამ საკითხს დაარეგულირებს, ხელს შეუწყობს ობიექტის მფლობელთა უფლებების დაცვას, ნარჩენების მართვის საკითხის გაუმჯობესებას და ქალაქის იერსახე მნიშვნელოვნად მოწესრიგდება.

## ახალსოფლის ბორანი სტიქიას გადაურჩა

### ნათია ნაცვლიძე

მაისში ჩვენს მუნიციპალიტეტში უზენაესი რანგის ახალსოფლის ბორანს დაზიანების საფრთხე შეუქმნა. ამ ბორნით რამდენიმე სოფლის მოსახლეობა სარგებლობს, მოქალაქეები საკუთარ საყრდენ ფართობებს უკავშირდებიან. 18 მაისს გამთენიისას ახალსოფლის მოსახლეობა სასწრაფოდ დაუკავშირდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, გრიგოლ დარჯინას და აცნობა, რომ არსებობდა საფრთხე, ბორანი ადიდებულ მდინარე რიონს წაედო. მოსახლეობამ საკრებულოს წევრს დახმარება და ადგილობრივ ხელისუფლებასთან შუამდგომლობა სთხოვა. ხელისუფლების მხრიდან რეაგირებამ არ დააყოვნა, ადგილზე მოხილვებული იქნა საჭირო ტექნიკა და ბორნის ადგილიდან მოწყვეტის საფრთხე თავიდან იქნა არიდებული. “სამტრედიის მაცნეს” კომენტარი მისცა საკრებულოს წევრმა, გრიგოლ დარჯინამ: “კვირა დილით, გამთენიისას, ტელეფონით შევატყობინე მომხდარის შესახებ მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას, მიუხედავად იმისა, რომ არასამუშაო დღე იყო, ჩვენს გვერდით განხილვენი გამგებელი და მისი მოადგილე, დავით ბახტაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანი, კომუნალური გაერთიანების უფროსი კობა ბიბილაძე და კეთილმოწყობისა და გამწვანების სამსახურის უფროსი, ელგუჯა კალაძე. ამ სამსახურების წარმომადგენლებმა, მოიყვანეს საჭირო სპეცტექნიკა, ბორანი ნაპირთან ახლოს მიეწიეთ, ბეტონის ბოძებზე ტროსით მყარად დაეამაგრეთ, წყალმა მეთრე დღესვე ივლო და ბორნის ადგილიდან მოწყვეტილი საფრთხე არ არსებობდა. მინდა, მოსახლეობის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო როგორც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, ისე კომუნალური გაერთიანების უფროსს, კობა ბიბილაძეს”.



## გააცაჩა ნყარი!

### თაზ ბაბუნაშვილი

პრობლემა, არაერთი წელია აქილევსის ქუჩის აქილევსის ქუჩადაც რომ ექცადა ბაშელეებს, ნელ-ნელა გვარდება. უფრო სწორად, პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა და გაწვიმება წარლენას აღარ ნიშნავს.

ბაშელი რომან ნუცუბიძის 25 წლიანმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. ვარციხესების კასკადის მე-4 წყალგამტარი არხი, რომელიც წამში 19 კუბური მეტრი გამავლობისთვის იყო განკუთვნილი, არადა, წამში 100-120 კუბური მეტრი ჩამოედინებოდა, ფართოვდება და იწმინდება. უკვე წელს, მოხშირებული და ძლიერი წვიმებისას წყალი გაატარა და მოსახლეობას არანაირი პრობლემა არ შექმნია. რომან ნუცუბიძე ამაზე ხაზგასმით საუბრობს და ხელისუფლების დამსახურებას არაერთხელ აღნიშნავს: “25 წელია, ამისთვის ვიბრძვი. ამ არხმა ბაში არაერთხელ გაასწორა მიწასთან, დატანჯა მოსახლეობა. დაახ, სამუშაოები დაიწყო და ხარისხიანად მიმდინარეობს, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 25 წლის წინ ბაშელეებმა სახელმწიფოს სასამართლო მოუგეს. 302 ათასი ლარი კომპენსაციისა და ზიანის ასანაზღაურებლად სახელმწიფოს მართებს ბაშელეების, რის ანაზღაურებაზეც ჯერ საუბარი არ არის.” ბაშში 273 ოჯახია დაზარალებული. სწორედ მათ უნდა გადაუხადოს სახელმწიფომ ეს თანხა.




მიუხედავად იმისა, რომ შედეგი უკვე სახეზეა, 15 ივნისისთვის სამუშაო პროცესი უფრო გაფართოვდება და წლის ბოლოსთვის საბოლოო სახეს მიიღებს. “სადრენაჟე არხის ახლად გაჭრილ არხზე შეერთება მთლიანად გადაწყვეტს ბაშელეების პრობლემას. ივლისისთვის ეს სამუშაოები დაიწყება. შედეგი უკვე სახეზეა, ბოლოდროინდელ წვიმებს სოფელი არ შეუწუხებია, წლების წინ კი ეს დიდ პრობლემას შექმნიდა.” – აღნიშნავს ვარციხესის დირექტორი ზაზა უფლისაშვილი. ის წლის ბოლომდე ორი დიდი სამუშაოს, ერთი წყალგამტარი არხის ახლად გაჭრილ არხთან შეერთებას და კიდევ უფრო რთული პროცესის, მე-4 ჰესის ქვევით უქმე წყალსამშენებლობას გეგმავს.

რომან ნუცუბიძე კიდევ ერთ პრობლემაზე საუბრობს, რომელიც ბაშელეებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. “აუცილებლად უნდა აშენდეს პირუტყვის გადასარეკი ხიდი. მისი არარსებობის გამო, სოფელში 9 ადამიანი დაიღუპა.” ზაზა უფლისაშვილი მიმდინარე წელს ამის პირობას ვერ დებს და რომან ნუცუბიძეს პასუხობს: “თუკი კეთილი ნება იქნება ჰესის ხელმძღვანელობის მხრიდან, ამ სამუშაოსაც შევასრულებთ. წელს, ვფიქრობთ, ეს ვერ მოხდება, რადგან ჩვენ ვალდებულნი არ ვართ შევასრულოთ ამგვარი სამუშაო. მომავალ წელს ვნახოთ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჰესის ხელმძღვანელობას შეუძლია არ ააგოს ეს ხიდი. მე მხოლოდ დანიშნული დირექტორი ვარ და ვაკეთებ იმას, რასაც მავალბენ, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში.”

ზაზა უფლისაშვილი ბაშელეებს მსუბუქად უსაყვედურა. მისი არაერთი თხოვნის მიუხედავად, ჯერ ისევ არ არის გატანილი ხეები, რომელთა მოჭრა უკიდურესად ტექნიკის მუშაობისთვის. სამუშაოების მოსახლეობადაც ჩასულმა მუნიციპალიტეტის გამგებელმა სოფელს სამუშაოებში ჩართვისა და მოჭრილი ხეების საბაგეშო ბაღში შეტანის, აგრეთვე სოციალურად დაუცველთათვის მათი გადაცემისკენ მოუწოდა. გამგებლის წარმომადგენელმა ბაშის თემში, რამაზ კამიამ განაცხადა, რომ მოსახლეობა ისედაც აკეთებს ამას, გააქვთ მოჭრილი ხეები პირადი თუ სხვათა საჭიროებისთვის.

“რაც მთავარია, სამუშაოები არა მხოლოდ სრულდება, არამედ ხარისხიანად სრულდება. ძალიან დიდი პრობლემა ეხსნება ბაშს. რაც შეეხება სხვა საკითხებს, კვლავ პრობლემად რომ რჩება, ვიმედოვნებთ მოგვარდება, მით უმეტეს, მინდობდა მათი მოგვარების თვალხილულია.” – ვალერი ფოცხვერია სამუშაოების მიმდინარეობით კმაყოფილი დარჩა და მოსახლეობის მისამართით გაკეთებულის უკეთ დანახვისა და შეფასების ფრთხილი საყვედური შეაპარა ნათქვამს.

წლებია, კარგად ცნობილი მე-4 სადრენაჟე არხი ვარციხესების კასკადთან, წარლენით რომ ემუქრებოდა ბაშს, “მოთვინიერებულია”. თუმცა, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ არის, წლის ბოლოსთვის იგი საბოლოოდ “მორჯულებდა”.



# “თია კარის ღრუ” №54-ე საარჩევნო ოლქში

შედეგები ჩაქოქა

**მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობისა და მათი მოსაზრებების ვათავალისწინებით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესებისათვის დაგეგმილი ახალი ინიციატივა “ვესაუბრებით ამომრჩევლებს” ჩვენს მუნიციპალიტეტშიც განხორციელდა. №54 სამრედიის საარჩევნო ოლქის წევრებმა მოსახლეობასთან ადგილებზე შეხვედრები გამართეს, ამომრჩევლებს თვითმმართველობის არჩევნებსა და ამ პროცესში მათ უფლება-მოვალეობებზე ესაუბრნენ.**

**“უფრო ახლოს” – ასეთია საარჩევნო ადმინისტრაციის სლოგანი, რომელიც ამომრჩევლებსა და საარჩევნო ადმინისტრაციას შორის მეტ კომუნიკაციას ითვალისწინებს. საარჩევნო პროცესებში მეტი ჩართულობის მიზნით მოქალაქეებს, სურვილისამებრ, მოსაზრებების ბარათების შევსების საშუალებაც მიეცათ.**

მარე თამარ ჟვანია და მისი მოადგილე გიორგი შარაბიძე არჩევნების მართვის სისტემის შემუშავებისა და დანერგვისათვის 2015 წელს ცესკოს საერთაშორისო საარჩევნო ჯილდო გადაეცა, რაც ძალიან დიდი აღიარებაა. როგორც ვველაზე რთული არჩევნები, ასე დაფიქსირდა შეხვედრაზე 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნები. მასში ბევრი დაინტერესებული მხარეა, დასმინა ბატონმა კობამ, რომელთაც თავიანთი მომხრეები ჰყავთ. ვველა ცდილობს, თავისმა კანდიდატმა გაიმარჯვოს, რასაც დამატებით ახლავს თან.



შეხვედრაზე ითქვა, რომ სისტემატურად მიმდინარეობს საარჩევნო პროცესების გამარტივება მუშაობა. საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ვველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომ პირობებს, როგორც ეთნიკური უმცირესობების, ისე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა, სანდობა, სანდოებისა და

“გადამზადების თვალსაზრისით სწავლება პირველად საუბრო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის მოხდა. ამჯერად საარჩევნო ადმინისტრაცია საგანმანათლებლო პროექტებს სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის ახორციელებს. ეს უთუოდ განზრდის მათ მონაწილეობას არჩევნებში, ჩვენ მათ ამისთვის მეტი სტიმული მივცით.

2015-2016 წლებში ათასზე მეტმა 17-დან 25 წლამდე ახალგაზრდად გაიარა სასაწავლო პროგრამა. ჩემი დაჟინებული თხოვნით, რადგან სამრედიოში ამის ნიადაგი არსებობს, ჩვენი მუნიციპალიტეტიც ჩართო პროგრამაში. კონკრეტულად იგი მე-11 საჯარო სკოლაში განხორციელდა პროექტი “არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩევლები”.

დაგეგმილია, რომ სამრედიოში 40 მოქალაქე გაივლის საარჩევნო ადმინისტრატორის კურსებს და შესაბამის სერტიფიკატსაც აიღებს. მათ მეტი ეცოდინებათ არჩევნების შესახებ. აღსანიშნავია, რომ პირველად წელს სამრედიოში გაიხსნა საარჩევნო განვითარების სკოლა.

დგენის პროცესი, ინფრასტრუქტურა და კიდევ ბევრი რამ განხილეს შეხვედრაზე რაც სამართლიანი და მიუკერძოებელი არჩევნებისათვის აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს.

დაგეგმილია, რომ სამრედიოში 40 მოქალაქე გაივლის საარჩევნო ადმინისტრატორის კურსებს და შესაბამის სერტიფიკატსაც აიღებს. მათ მეტი ეცოდინებათ არჩევნების შესახებ. აღსანიშნავია, რომ პირველად წელს სამრედიოში გაიხსნა საარჩევნო განვითარების სკოლა.

“შე არ მტყვენია, როცა ვიტყვი, რომ სამრედიოელი ვარ. ფაქტებით იციან, როგორ მუშაობს ჩვენი საარჩევნო ოლქი”. – განაცხადა მან შეხვედრაზე და მადლობა გადაუხადა საარჩევნო კომისიის წევრებს, ვველა იმ აღმინანს, ვინც საარჩევნო პროცესებში აქტიურად არის ჩართული, რომელთა საქმიანობის შედეგად №54 სამრედიის საარჩევნო ოლქმა საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

საარჩევნო ოლქის მდივანმა მარიამ ბოკლაგაძემ მოსაზრებების ბარათების მიხედვით ამომრჩევლის სურვილები გააცნო შეხვედრის მონაწილეებს: “მიუხედავად იმისა, ბარათებში ისეთი სურვილებიც დაფიქსირა ზოგიერთმა მოქალაქემ, რაც არჩევნებს არ ეხებოდა, მაინც ბევრი მნიშვნელოვანი მოსაზრება და სურვილი ჩაიწერა. მაგალითად, ერთ მოქალაქეს მრავალპარტიული და კონკურენტუნარიანი არჩევნები უნდა რომ იყოს, სხვამ სამართლიანი არჩევნების სურვილი გამოხატა; ზოგს ხმის დათვლის პროცედურა აინტერესებს, ელექტრონული არჩევნებიც კარგი იქნებოდაო. იყო ასეთი მოსაზრებაც, რომ კომისიის წევრებს არჩევნებზე მშვიდი გარემო უნდა ჰქონდეთო, პრეზიდენტს ხალხი უნდა ირჩევდესო... ასეთი ჩანაწერები ძალიან ბევრია. ჩვენ დღეს მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოვიდგინეთ”.

უსაფრთხო არჩევნები და სანდობა ქალბატონმა სოფომაც მსჯელობის საგნად აქცია. იმ წარმატებულ სასწავლო პროგრამებზე ისაუბრა, რომლებსაც ცესკო საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ეგიდით განახორციელებს.

23 მაისს №54 სამრედიის საარჩევნო ოლქში, იმავე ინიციატივის ფარგლებში, საჯარო საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას საარჩევნო პროცესებში დაინტერესებული პირები დაესწრნენ. მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ნინო შარაშენიძე. საარჩევნო ოლქის თავმჯდომარის მოადგილემ, კობა სიხარულიძემ ახალი ინიციატივა სამრედიის მაგალითზე მიმოიხილა, 2016 წლის არჩევნები შეაფასა და 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე გააკეთა აქცენტი.

“ჩვენ, სამრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედი წევრები, ერთი თვის განმავლობაში გავდიოდით საარჩევნო ტერმინოლოგიის ამომრჩევლებთან შესახვედრად”. – აღნიშნა მან. – “მოვიარეთ ქალაქი, ვიყავით დაბა კულაშიში, იანეთში, სოფელ გომში. ვაცნობდით მათ ჩვენს ორგანიზაციას, ვესაუბრებოდით თავიანთი უფლებებისა და მოვალეობებზე, ვურთიკვდილდით ბარათებს საერთაშორისო მოსაზრებების დასაფიქსირებლად. შემდეგ ისინი სპეციალურ ფურცელზე ატვირთეს. ამ მნიშვნელოვან აქტივობაში 5 მოხალისე მონაწილეობდა. აქედან 3 პროექტის “შენი ხმა შენი მომავალი” გამარჯვებულები არიან”.



კობა სიხარულიძემ, პირველ რიგში, საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ ისაუბრა, თუ რა მისია და მიზანი აკისრია ამ ორგანიზაციას, როგორია სტრუქტურულად, რა პრინციპით ხდება საარჩევნო კომისიის წევრების არჩევა, რა სახის არჩევნები ტარდება ჩვენთან, რამდენად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს. ცესკოსთან არსებული სწავლების ცენტრი, სამოქალაქო განათლება როგორ ამალბებს მოქალაქეებში სანდობასა და ცნობადობას და ა. შ. მან ვერცხლად მიმოიხილა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს უცხო ქვეყნების პოლიტიკურმა წრეებმა, საერთაშორისო და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა, არასამთავრო-

ბო ორგანიზაციებმა. ითქვა, რომ სამრედიო ერთ-ერთი მუნიციპალიტეტი იყო, სადაც მეორე ტური არ გამართულა. “ყოველ არჩევნებზე ახალ-ახალ სიტუაციებს ვაწყდებით. აღმოუფერვით, კიდევ რაღაც იქნეს თავს, გამოწვევებია მუდმივად. ერთი და იგივე პრობლემა არასდროს მეროდება. ეს კარგია, მოდუნების საშუალებას არ ვგაძლევს, უფრო მეტად მობილიზებული ვხდებით, მენეჯმენტისა და სამართლიანობის კუ-

თხით გაგაუმჯობესოთ არჩევნები”. – განაცხადა კობა სიხარულიძემ. იქვე განმარტა, რომ არჩევნების ინდიკატორი საჩივარია. 2016 წლის არჩევნებმა კი საჩივრების გარეშე და მცირეოდენი ხარვეზებით ჩაიარა, რისთვისაც ოლქმა საარჩევნო ადმინისტრაციის მაღლობა დაიმსახურა.

კობა სიხარულიძემ, პირველ რიგში, საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ ისაუბრა, თუ რა მისია და მიზანი აკისრია ამ ორგანიზაციას, როგორია სტრუქტურულად, რა პრინციპით ხდება საარჩევნო კომისიის წევრების არჩევა, რა სახის არჩევნები ტარდება ჩვენთან, რამდენად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს. ცესკოსთან არსებული სწავლების ცენტრი, სამოქალაქო განათლება როგორ ამალბებს მოქალაქეებში სანდობასა და ცნობადობას და ა. შ. მან ვერცხლად მიმოიხილა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს უცხო ქვეყნების პოლიტიკურმა წრეებმა, საერთაშორისო და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა, არასამთავრო-

ზოგადად საქართველო რომ ლიდერია რეგიონში არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხით, გამჭვირვალობის თვალსაზრისით და ა. შ. ამის მტკიცებულებად საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს, სოფო დარჯინას ის ფაქტი მოჰყავს, რომ “ჩვენს ქვეყანას ბევრი ძალიან ძლიერი სპეციალისტი ჰყავს. ისინი მსოფლიოს ბევრ ქვეყანას უქმნიან საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელს, აძლევენ შენიშვნებს და რეკომენდაციებს. ჩვენ გვყავს საერთაშორისო დონეზე აღიარებული ფასილიტატორები, მათ შორისაა ნათია ქაშაყაშვილი, ძლიერი ფასილიტატორები არიან ცესკოს თავმჯდომარეები”.

მოხნდა. უპრობლემადაც არაა რეალობა და საკითხებზე, რომელთა მოგვარების კონტურები იკვებება, აქაც ისაუბრეს. დარბაზი მუსიკის გაკეთებისთვის აუცილებლად სჭირდება საბავშვო ბაღს. მისი მოწვობა შერობის მეორე სართულზე სრულიად შესაძლებელია. “აუცილებელია დარბაზისთვის ოთახის მოწესრიგება. ღონისძიებებს იმ ოთახში ვაწყობთ, მუსიკის გაკეთების ვატარებთ, სადაც უფროსი ჯგუფი მეცადინეობს. ზეიმების დროს გვიხდება მისი დაცლა. გარდა ამისა, ბაგის ჯგუფი გვეჩვენება, მოგვხსენებთ, ბაგაში სულ პატარების ნაკლებად ვახერხებთ.” – სიტუაციაში გვარკვევს ბაღის მმართველი მაკა ათაბაგი.

## საბავშვო ბაღს საშუალო დარბაზი სჭირდება

თბილისში

ბაშს ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები ჰყავდა სტუმრად. სტუმრად ჰქვია, თორემ ესეც ერთი ჩვეულებრივი შემოხვევა იყო, საქმიანი, ხშირად რომ ეწყობა თქმში.

გალერეანე ფოცხვერია და მისი თანმხლები პირები თავდაპირველად საბავშვო ბაღს ეწვივნენ, სადაც გარდა ადგილობრივებისა, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების წარმომადგენლები დახვდნენ. იქ, სადაც წლების წინ სოფელ ბაშის საბჭოთა მეურნეობა იყო, ახლა საბავშვო ბაღია. კარგად შენახული, მოწესრიგებული შენობა, კვიების მიღდაი რაციონი და გამართული სასწავლო პროცესი ბაშის საბავშვო ბაღის ყოველდღიურობა აღ-



მოხნდა. უპრობლემადაც არაა რეალობა და საკითხებზე, რომელთა მოგვარების კონტურები იკვებება, აქაც ისაუბრეს. დარბაზი მუსიკის გაკეთებისთვის აუცილებლად სჭირდება საბავშვო

“ველა მსგავსი პრობლემის მოგვარებას თანხა სჭირდება. სოფლის პროგრამით ვაპირებდით ამ საკითხის მოწესრიგებას. მოგეხსენებათ, ჯერჯერობით იგი შეჩერებულია. იმედია, ამჯერად სხვა გზები გამოიძებნება.” – იმედოვნებს სპეციალისტი ბაშის წარმომადგენლობაში მალხაზ ნაცვლიშვილი. ბაშში გამგებლის წარმომადგენელი რამაზ კამია უფრო აქტიური ზომების მიღების პირობას დებს.

სასწავლო წლის დასაწყისში ბაშის საბავშვო ბაღში 56 აღსაზრდელი ირიცხებოდა. მიგრაციამ, ქართულ სოფლებს დამოფიქრებლად რომ დაატო ხელი, კონტინენტი 40-მდე დაიკვანა. “ძირითადად ქუთაისში მიდიან ახალგაზრდები და ბუნებრივია, შეილებიც გადაჰყავთ.” – დანაწილებით ამბობს დაწესებულების მმართველი. რაც შეეხება

სწავლების პროცესს, ბაღის მეთოდისტი მარინა ბაღდაძე და სხვა წარმომადგენლები სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებიდან აღნიშნავენ, რომ როცა საქმეს მონდომებით, პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით უდგებიან, არ აქვს მნიშვნელობა სასწავლო დაწესებულება სოფლის იქნება თუ ქალაქის, სასწავლო პროცესი გამართულად მიდის.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია კოლექტივს დაჰპირდნენ, რომ პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში მათ დარბაზის პრობლემა მოუგვარდებათ.

# “რაც ჩოხოსანი გავხდი, სურვილი მაქვს, უკეთესი გავხდე”

ამთბარან ჭიჭიძე

ისევ დასჭირდა ქვეყანას შავჩოხიანი ვაჟიკები. ოღონდ, ეს თბილისში კი არა, უბრალოდ, ტრადიციების, ზნეობრივი ღირებულებების, კულტურული ფასეულობების, მშვიდობის დაცვით უნდა მოიგოს. ყველა თბილისე და იმის ჩაება ქვეყანა. ეს არ ნიშნავს, კარი მიუხეობ ვეროპას, მაგრამ მსოფლიოს ვაოცებას მეტწილად ისევ ჩვენს ტრადიციებით რომ ვახერხებთ, ცხადია. “კარგი ტრადიციები ეროვნულობის ხერხემალია”, ამწიხიადამართებულ გენს კი მომავალი ნამდვილად არ აქვს.

“სიბველისადმი გრძობა, პატივი, თუ შენში მაინც ოდნავ ელფარება”, არ შეიძლება, თვალთ არ მოგჭრას ჩოხოსანთა და დარბაისელ მანდილოსანთა ტრადიციულმა ავტორიტეტობამ, რიდიოთა და სიბმითით არ განაწყოს ამ ადამიანების მიმართ. ჩოხა დღეს განსაკუთრებით მოთხოვნადი ვახდა ჩვენს ქვეყანაში. ვისთვის ეს საკუთარ ისტორიასთან მიახლოების სურვილი, ვისთვის კი მხოლოდ ტრენდია.

ჩოხის მატარებელი ბევრია საქართველოში და მათ შორის სამტრედიისშიც, თავიანთი გამოჩენით განსაკუთრებული სიბლი რომ შემოაქვთ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემაც საპატრიარქოსთან არსებულ ჩოხოსანთა სადროშოში გააერთიანა ამერ-იმერი, ჩამოაყალიბა ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარეც თავად უწმინდესია. სადროშოები მალე მიეღო საქართველოს მოიცავს. ისინი ბევრ სულის დასაპურებელს, თუ საქველმოქმედო ღონისძიებას გამართავენ.

მალხაზ ინტელექტუალური ჩოხოსანთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის, ზვიად სენიაშვილის წინადადებით ჩაუდგა ჩოხოსანთა სადროშოს სამტრედიისში, რედაქციაში გვესტუმრა და სიახლოვებით გვესაუბრა ორგანიზაციის შესახებ, თანაც პირობა ჩამოგვართვა, სადროშოში რომ ვავერთიანდებოდით.

– ბატონო მალხაზ, თქვენ როდის გახდით ჩოხოსანი? რატომ გაგიჩნდათ სურვილი, ამ საზოგადოების წევრი ყოფილიყავით?

მოვიყარეთ მუხლი, ორასი ადამიანი იღებდა ფიცს. ტაძრის შემოვარენი ჩოხოსნებით იყო სავსე. მეც ახლად მიღებულმა წევრებმა ხანჯლების “ხვიანში” გავიარეთ, ყველა თავის სურვილს გვატანდა: ერთგულებას, სიკეთეს, ქვეყნის



გაწევრიანების და ჩოხის ჩაცმის სურვილი არ გაუჩნდება, იმ საზოგადოების, რომლის თავმჯდომარე პატრიარქია. ეს ორმაგად საპაყია. ჩოხოსანი შარშან გავხდი. ჩემმა ძმამ, ვანო ინტელექტუალურ დამირეკა და მითხრა, 8 თებერვალს, წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გელათში იყო მიწვეული იმერეთის ჩოხოსანთა სადროშოს მიერ. მითხრა, ხომ არ მექნებოდა სურვილი საზოგადოებაში გაწევრიანების. ცხადია, დავთანხმდი. იმ დღეს მე, ვანო და ჩვენი ძმა თემური ქუთაისში ჩავედით. საოცრად ლამაზი და ამაღლებელი ცერემონიალი ჩატარდა. ჯერ წირვას დავესწარით გელათში, შემდეგ კი მეუფე კალისტრატემ საკურთხეველში მიგვიწვია, დაგვლოცა, წმინდა დავით აღმაშენებლის საფლავზე



გამოვლანებას გვისურვებდა. ბოლოს ბატონმა ლევან როხვაქიმ, იმერეთის ჩოხოსანთა სადროშოს თავმჯდომარე მოგვილოცა საზოგადოებაში გაწევრიანება. ყველაფერი ღონით დასრულდა. საოცარი სანახაობა იყო.

– იქნებ განუმარტოთ მკითხველს, რას ისახავს მიზნად ჩოხოსანთა საზოგადოება, რა მისია აკისრია მას?

– ორგანიზაციას არა აქვს არავითარი შეხება პოლიტიკასთან. მას აქვს წესდება, სადაც ჩაწერილია, რომ მისი მიზანია: “ქართველი ერის ისტორიული ტრადიციების, ზნეობრივი ღირებულებების, კულტურული ფასეულობების, ადათ-წესების, ტრადიციული ჩაცმულობისა და დარბაისური ჩვევების აღდგენა, შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია, დედაეკლესიის, სამშობლოს ერთგულება და დაცვა”.

საზოგადოებას აქვს საკუთარი ჰიმნი, დროშა, ლოგო და სამკერდე ნიშანი. საზოგადოებასთან არსებული სამსახურების მეშვეობით იგი სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებს საქმიანობას. მათ შორის უცხოეთში გადამხვეწილ თანამემამულეებთან კულტურულ-საგანმანათლებლო, ინფორმაციული ურთიერთობების დამყარებას, საზღვარგარეთ არსებულ ქართულ დიასპორებში საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების შექმნას.

– რა ნიშნით ერთიანდებიან ჩოხოსანთა საზოგადოებაში?

– აუცილებელია, ადამიანი იყოს მართლმადიდებელი ეკლესიის აღმსარებელ-მწიარებელი. წევრობისთვის სულიერი მოძღვრის რეკომენდაციაა საჭირო.

საზოგადოების წევრი ვახდე, ასაკი შეზღუდული არ არის. გაერთიანება შესაძლებელია ნამდვილი, საპატიო, ასოცირებული და ნორჩი ჩოხოსნის სტატუსით.

– თქვენთვის რა არის ამ საზოგადოების წევრობა? მით უფრო, რომ სამტრედიის სადროშოს ხელმძღვანელობა აქვს ჩაიბარეთ. რა გავლენა აქვს თქვენზე ჩოხას?

– ისეთი განწყობაა, თითქოს შენს წარსულს, წინაპარს ეხები ხელით, მათი ნაწილი ხდები, არა წარმოსახვით, არამედ ფიზიკურად. ეს სასწაულია. ჩოხა ქართული სულია. ვანო თეატრში ანტონ კათალიკოსის როლი ითამაშა და იხსენებდა, როლიდან ვერ გამოვდიოდი, ამისთვის დღეები მჭირდებოდა, რაღაცნაირი გავხდით. რაც ჩოხოსანი ვარ, სურვილი მაქვს, უკეთესი გავხდე. ზვიად სენიაშვილი გელათში გავიცანი. ჩემთვის მოლოდინელი იყო, როცა სადროშოს ხელმძღვანელობა შემომთავაზა. ბუნებით აქტიური ადამიანი ვარ, მინდოდა,

## ნინოოჭას ეილოცავთ!

“ანგელოზის წირვა დგება, როცა დაპყრავს ნინო ზარსა, მცხეთის ქალაქს მირონი დუღს ყველგან გააქვს ნიავ ქარსა. გარს გუმბათსა სვეტს ეხვევა, როგორც ნორჩი ვაზი სარსა, იმის მაღლი შეგეწვავთ, რაც იქ წირვა-ლოცვა დგასა”. ხალხური.

კაპადოკიით მოსულმა ქალწულმა, ხელში საკუთარი თმებით შეკრული ვაზის ჯვრით უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს გაქრისტიანებაში.

წელიწადში ორჯერ, 27 იანვარსა და 1-ლ ივნისს აღინიშნება წმინდანის ხსენების დღე.

წმინდა ნინოსადმი განსაკუთრებით უშვილონი და სხეულნი ლოცულობენ და წმინდანს მფარველობს მათ.

27 იანვარს აღესრულა წმინდანი 338 წელს ბოდბეში.

1-ლი ივნისი საქართველოში წმინდა ნინოს შემოსვლის დღეა! ეილოცავთ!

ლევან მაგნიანი



– უკვე დაგეგმილი მაქვს ომში დალუპულთა შვილებთან შეხვედრა. შესაძლოა, გამგებოსთან ერთად მოვაწყოთ ღონისძიებები, დავაწესოთ პრიზები, დავაძლიეროთ ეროვნული ტრადიციები და სხვა.

\*\*\*

17 მაისს სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა სადროშო თბილისში შეიკრება ოჯახის სიწმინდის დღის აღსანიშნავად. ღონისძიებაში სამტრედიიდან მალხაზ ინტელექტუალური და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური მონაწილეობდნენ.

“დედაეკლესიისთვის საფუძველთა საფუძველი არის ოჯახი”. განმარტავს ჩვენთან საუბარში მალხაზ ინტელექტუალური. – “17 მაისს ამ დღის აღსანიშნავად შეიმთხვევით არ მომხდარა, ე. ი. ოჯახის სიწმინდეს საფრთხე შეექმნა. იმ დროს, როცა ჩვენ თავისუფლების მოედანზე ვივრებიოდით, ლგბტ-ებმაც მოაწვევს გამოსვლა, მაგრამ მალე დაიშალნენ. ჩვენ დავანახეთ მსოფლიოს, რომ ქართველობისთვის უპირველესი ჩვენი სარწმუნოება და ოჯახია. თუმცა გვევანან ასეთებიც. ჩვენ გვინდა ევროპასთან, მაგრამ არ გვინდა ის, რაც ჩვენი არ არის.

რაღაც გამეკეთებინა, არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბებამაც ვზრუნავდი და ამ დროს ასეთი წინადადება... ბეკურს შეგეხმანე სადროშოში გასაერთიანებლად. ბევრმა აიტაცა ჩემი შეთავაზება. მათ უნდა შეავსონ სპეციალური კითხვარი. აუცილებელია, ჩოხები შეიძინონ. მალე ორგანიზაციის პრეზენტაცია გვექნება.

– თქვენი სამოქმედო პროგრამა რას ითვალისწინებს?

ოჯახის სიწმინდის დღესთან დაკავშირებით თავისი შთაბეჭდილებები ბატონმა კობამაც გაგვიზიარა: “ამ დღეს თბილისში უამრავი ხალხი ივრებიდა, წელს ჩოხოსნებიც იყვნენ ჩართულნი და მე, როგორც ერთ-ერთი ჩოხოსანი, ამ რანგში ვიყავი მიწვეული. ოჯახის სიწმინდის დღის დაწესება პატრიარქის ინიციატივაა და სასიხარულოა, რომ ხალხმა მისი იდეა აიტაცა. რა თქმა უნდა, ბევრია საქართველოში, ვინც იცავს ოჯახის სიწმინდეს და ამ ღირებულების დაცვით ცხოვრობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის აფიშირება არ ხდება. უფრო მეტად აღვირახსნილობასა და გარყვნილებას აფიშირებენ. ეს ერთი დღე კი ნამდვილად გამორჩეულია, როცა ადამიანებს საშუალება ეძლევათ, ერთად შეიკრიბონ და თავიანთი აზრი, პოზიცია დააფიქსირონ ამ საკითხთან დაკავშირებით”.

ბატონი კობა დიდი ხანია, ჩოხას ატარებს, მაგრამ აქამდე არც ერთი ორგანიზაციის წევრი არ ყოფილა. სიახლოვნებით ადასტურებს, რომ ამაჯერად საპატრიარქოს ჩოხოსანთა რიგებს შეუერთდა. ამბობს, რომ ჩოხა ჩვენი ეროვნული სამოსია, რომელიც საუკუნეებს მოჰყვება და სასურველია, სამტრედიისში ის ბევრმა ატაროს.

# ქართული ღირსების საქმე

თაბაგაშენაშვილი

ამ 26 მაისს უკვე 26 წელი ვახდა, რაც საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს აღნიშნავს. 26 წლიდან დამოუკიდებლობაზე თვალის გადავლება ერთდროულად ააშკარავებს მის შუქ-ჩრდილებს. ქართული ხასიათი და დამოუკიდებლობა სამშობლოსა და სახელმწიფოებრიობისადმი, განსჯის საგანი არაერთხელ, არაერთ რაგუნში ყოფილა. ადღეობით თუ უადღეობით, ურთიერთბრალდებების, სწორი თუ მცდარი პოლიტიკური ნაბიჯების გათვალისწინებით, იგი ქართული ღირსების საქმეა!

ფრაზა – “შე რუსთაველის ქვეყნიდან ვარ!” – წლევეანდელი 26 მაისის ღონისძიებების ლაიტმოტივი ვახლდათ, და ეს იმიტომ, რომ ამ თარიღიდან ცოტა ხნით ადრე ქვეყანამ დიდი შოთა რუსთაველის იუბილე აღნიშნა, რომლის “ვეფხისტყაოსანი” ქართველთა კულტურული ძეგლია. სწორედ მასშია ხსნა ქართული სულიერებისა.

ეროვნული ზემის ფერხულში ჩაბმული სამტრედია ოცდაექვსმასობდა “მომავლის პარკში” გამართულ ღონისძიებებზე. კულტურის სამსახურის ინიციატივით მოწოდებული სანახაობები ერთ სადღესასწაულო კომპლექსში გახლდათ მოქცეული. მხატვრული ტილოების გამოფენა, მუსიკალური ნომრებით, საბავშვო ბაღების აღსაზრდელების, ნორჩი მოცეკვავეების, მომღერლების მიერ შესრულებული ნომრები განწყობას კიდევ უფრო სადღესასწაულო ელფერს მატებდა. გამორჩეული-თქო ვერ ვიტყვით, რადგან ყველა შემსრულებელი და შემსრულებელთა ჯგუფი განსაკუთრებული იყო, მაგრამ განსაკუთრებული დატვირთვა მე-4 ბაგა-ბაღის აღსაზრდელ პატარა ვარისკაცების ნომერს ჰქონდა, ბაღის მმართველის, ნანა ღუნდუას დახმარებით სამშობლოს ერთგულების ფიცი რომ დაუდეს. ღონისძიება მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლეს, თამარ ჯინჭველიძე-ილის მიჰყავდა. დოლ-ზურნის ხმამ საჭ-

იდაოდ მოუხმო ფალანგებს. იმდენი ქნა, გონა ზაქარაძემ ჭვილია დაიმსახურა პირველობისთვის. ერთმანეთს მოჭადრაკეები და მკლავჭიდლებიც გაეჯობნენ. ბაშა და ილორში დოლიც გაიმართა, სადაც სამტრედიის გარდა მუხომელი რაიონების წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას. დღე შინმოუვლელის დღის ძეგლთან სამშობლოსთვის დაღუპულების პატივგებით დაიწყო. იქაურობა საპატრიარქოს ჩოხოსნებმაც მოინახულეს, ყვაილებით შეამკეს მემორიალი. მისმა ხელმძღვანელმა, სამტრედიელი პოლიტიკური სექტორისთვის კარგად ნაცნობმა მალხაზ იანტელეიძემ, რომელსაც ამჯერად ტაიმაუტი აქეს აღებული პოლიტიკურ ასპარეზზე, სამტრედიის “ჩოხოსნების” ახლად დარსებულ ორგანიზაციაზე მოკლედ ისაუბრა და კითხვას, ამჯერად ჩოხით ხომ არ აპირებს პოლიტიკაში კვლავ მობრუნებას, უპასუხა: “არა, მხოლოდ ჩვენ მივ-

ივართ პოლიტიკასთან, პოლიტიკაც მოდის ჩვენთან. გამორიცხული რატომ უნდა იყოს რამე?!”  
ეროვნული მოძრაობის ჩანასახშივე მისმა აქტიურმა წევრმა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამ სამტრედიის ეროვნული მოძრაობის მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ საზოგადოებას დღესასწაული მიულოცა. ასევე ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სამტრედიელი ლიდერი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური გრძნობებით საუბრობდა იმ დღეებზე, სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში რომ გადაიტანეს.  
26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადებ-



ის დღეა! სიმბოლურია, რომ ეროვნული კაცი ეროვნულ დღესასწაულზე დაიბადა. უდავოა, ეს არავის გამოჰპარვია მხედველობიდან. მისი ღვაწლი და დამსახურება ოთხმოცდაათიანებში ეროვნული მოძრაობის ფერხულში აქტიურად ჩართული სამტრედიისა და სამტრედიელებისთვის განსაკუთრებულია.  
26 მაისი წელს 26-ედ აღნიშნა საქართველომ ეროვნულ დღესასწაულად. 26 წლის შემდეგაც, ყოველგვარი პათეტის გარეშე, ლელო ისევ გასატანია. ლომთა ხვედრი თავისუფლება, მხოლოდ ლომთა ხვედრად დარჩენის იმედითა და ქართული სულიკვეთებით ისევ მზანში ტყვიის მოსარტყმელად ემზადება.

# მისხაროღენ!

ლევან გაბაჩაშა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდების კომისიამ კულამის საჯარო სკოლაში გასვლითი სხდომა გამართა.

კომისიის წევრები საკრებულოს თავმჯდომარესთან, სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად სკოლისათვის ცნობილი მეცენატის კონსტანტინე მურნაღის სახელის კვლავ მინიჭებისათვის შეეცადნენ.

შეკრებილთ სკოლის დირექტორი ნუგზარ კვანტალიანი მიესალმა. სკოლის ძველი შენობა 1895 წელს აიგო. ლომის წილი აქვს მის მშენებლობაში საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარის ბაბუას. საკუთარი ხარ-ურემით რომ ედგა მხარში კეთილი საქმის ინიციატორებსო, აღნიშნა მან. სახელდების კომისიის თავმჯდომარემ კობა ძიძიგურმა კონსტანტინე მურნაღის ცხოვრებისა და საქველმოქმედო საქმიანობის იმ ეპიზოდებზე ისაუბრა კულამის საჯარო სკოლაში მოღვაწეობას რომ უკავშირდებოდა.

ულრმესი მადლობა კომისიის წევრებს რომ საკითხი სკოლისათვის მურნაღის სახელის მინიჭების შესახებ კვლავ დღის წესრიგში დგას, ვიმედოვნებთ, სამინისტრო ამ დროულ ინიციატივას მხარს დაუჭერს. – აღნიშნეს პედაგოგებმა როლიკო ზაფთაძემ და ნუნუ კიკვაძემ.

მოსწავლეობისა და ამავე სკოლაში პედაგოგიური მუშაობის წლები გაიხსენა საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ ჯამბურამ, რომელმაც თბილად მოიგონა ამ სკოლაში ჯერ სწავლის, შემდეგ პედაგოგად მუშაობის წლები, გაიხსენა უკვე გარდაცვლილი პედაგოგები და კეთილშობილურ საქმიანობაში წარმატებები უსურვა აქ მოღვაწე ადამიანებს.

როგორც აღვნიშნეთ, შუამდგომლობა საკრებულოს სახელდების კომისიის მიერ სკოლისათვის კონსტანტინე მურნაღის სახელის მინიჭების შესახებ უახლოეს ხანში გადაეგზავნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. უნდა აღინიშნოს, რომ სახელის მინიჭებასთან ერთად, აუცილებელია ის პათოსიც, ის ტრადიციებიც აღდგეს, სკოლას რომ ჰქონდა წლების მანძილზე, რაც დრომ გააფერმერთალა.

რაც შეეხება სკოლისათვის ძველი სახელწოდების კვლავ დაბრუნებას, სიხარულით შევდ(ა)ება სკოლის კურსდამთავრებულები, იმ სიხარულით, რა აღმაფრენითაც ეს წერილი იწერება.



# მერხებს უპროვოზული ბავშვობის მიჯნაზე

თბა ბავშვობილი

ისინი მოდინ, უმოვარო ღამეს ანათებენ, დილას ეგებებიან ღამაზეები, ამაყები. მოდიან ამბიციებით, დაუძლივლის დაძლივლის სურვილით, ათასი კითხვის ათასი პასუხით. მოდიან და ჯერ ისევ სუსტი მხრებით იმედი მოაქვთ შუემდე მისატანი. ისინი მოდიან კიდევ ერთ თაობად, ერთ სგალებად, ერთ აღმაფრენად და საყრდენად.

მაისმა ბოლო დღეებზე გაატანა ვარდის სურნელად სკოლის კედლებში აწერიალებული ზარის მუსიკას. ბევრისთვის მოგონებად იქცა მისი ხმა მერხებს შეტოვებული ბავშვობის მიჯნაზე. ამიერიდან ფართო შარავნებით ივლის მათი მომავალი და ზურვს არასდროს აჩვენებს სიძნელეების მორევს.

ღელვო გასატანია! საკუთარი ცხოვრება თავად უნდა იცხოვრონ სახელოვნად და კვლად შუემდე მიიტანონ მზისგან ვასტყონცნილი იმედის სხივი.

სასწავლო წელი დაასრულა ვარდობისთვემ. ბოლო გამოცდაც ჩააბარა... სკოლის მერხებთან, თორემ, ცხოვრება სგალიდან იწყებს გამოცდას პირქუში რეალობის ვასაცისკროვნებლად, მერმისის დასაწყებად, შრომად, ბრძოლად და აღმაფრენად.

მეთერთმეტე საჯარო სკოლის მეთერთმეტე მეთრეს გაუწვიმა წვიმად აღერლილმა გაზაფხულმა. მაისის 18 მაინც მზიან მოგონებად ექცა მეხსიერებას. უკან მოტოვებული ბავშვობის დანახებით ცრემლებგადაყლაპულემა, ბოლოჯერ ააყოლეს სკოლის ზარის წერიალს საკუთარი გულისცემა. მერე ყველაფერი ხალასი იყო, ღამაში იყო, გულწრფელი იყო და... მერე სიყვარულად დაიღვარა ლექსი, სიმღერა, ცეკვა. თეთრ მაისურებს ასობად და სიტყვებად სამუდამო მოგონებად აღებეჭდა სულს დაჩნეული ვრძობის ანაბეჭდები. ეს თეთრი მაისურები იქცა ვმასწვილკაცობის მოსაწვევად და ბავშვობის გზავნილად.

გაუწვიმადათ-თქო, თავიდან გითხართ. ამიტომ, გული დასწვდათ, რომ ისეთი შთამბეჭდავი ვერ გამოვიდა სკოლის მოედანზე დაგეგმილი ღონისძიება, საბოლოოდ, სპორტულ დარბაზს რომ ერგო მისი გამართვის პატივი. იხუმრეს, იქნებ მეტიც მოუვიდათ, მაგრამ კვლავაც აპატიეს პატიებას მიწვეულმა პედაგოგებმა. თუცა, მათდამი დიდი სიყვარული და პატივისცემა ყველა სიტყვაში ჩანდა. განსაკუთრებული სითბო იდგა იმ დღეს მე-11 საჯაროში. ეთხოვებოდნენ კლასს, ძალიან რომ უყვარდათ და ეამაყებოდათ. ისინიც ისე მონატრებთ, როგორც ყველა მათ მიერ დაფრთხილებული და მალაი მწვერვალების დასაპერობად ამ ბუღიდან გაღაფრენილი. ეთხოვებიან კლასს, ბევრი წარმატება და მიღწევა რომ ჰქონდა, ბევრი რომ ბეჯითობდა და ცოტა ზარმაცობდა, ბევრს რომ ემღერებოდა, ოღონდ ისე, უბრალოდ კი არა, დიდი პროფესიონალიზმით, ბევრს ბევრი მიღწევა რომ ჰქონდა სპორტში, ერთ მათგანს, ზაურ ჯანელიძეს მოწვევაც კი მოუვიდა ამერიიდან. ეთხოვებოდნენ კლასს, რომელმაც ერთმანეთის და მეგობრების განსაკუთრებული სიყვარული იცოდა. ეიმედებთ ისინი და იცინან, ასე გააგრძელებენ კიდევ. ამ ყველაფერს მათი უკვე ყოფილი, პედაგოგები ამბობდნენ მათზე და გზას ულოცავდნენ.

“მასხოვს პირველად სასწავლებელში წასაყვანადა რომ მომამზადეს” – ამ სტრუქტურებს, უკვე აღარ ასწავლიან სკოლაში. მაგრამ მაინც ახსოვთ პირველად სასწავლებელში წასაყვანად რომ მომამზადეს და დედის ხელს ჩაბლაუჭებულემა ამ დიდფანჯრიან შენობაში რომ შემოაბიჯეს. გაფართოებულ თვალებში შიში და ინტერესი ედგათ. გაბნეული წიწილებივით მოაგროვა და თბილი მზერა შეაგება სიფრიფანა ქალბატონმა, ნაირა მასწავლებელმა, პირველი მასწავლებლის სიყვარულად სამუ-



დამოდ რომ დარჩება მათ გულებში და ღრმა მოხუცებულობაშიც ბავშვური ანცობით რომ მოიგონებენ. “აი” წააკითხა, ერთზე ერთი მიამატებინა, სულში სიყვარულად ჩაედვარა პირველკლასელებს ნაირა ქორიძე. მისი დამსახურება გახლდათ, რომ ამ კლასმა ფოთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ზაურის მამის ხსოვნის პატივსაცემად, ზაურის რეჟისორობით სპექტაკლი დადგა.

ნაირა ქორიძე ისინი თიკო ნიკურაძეს გადააბარა. სულ ორი სასწავლო წლის მანძილზე გახლდათ მათი დამრიგებელი თიკო მასწავლებელი და კიდევ უფრო ხელშესახებად იგომნეს, რომ სკოლაში მეთრე ედგა ჰვავდათ. და ეს სიტყვები არა იმიტომ, რომ ასე საუბარი იმ დღეს უხდებოდა! თიკო მასწავლებლის ჩანთაში ყოველთვის მოიძებნებოდა წამალი, თუ რამე ეტკინებოდათ. იგი მუდამ თვალეებით ეძებდა მათ სკოლის ეზოში, კიბეებზე, დერეფნებში. სითბო და მზრუნველობა არასდროს ელეოდა მათთვის. ახლა საქართველოში აღარ არის თიკო მასწავლებელი, მაგრამ “დარწმუნებულეები ვართ, ემის ჩენი და ყველამ ერთად – გვიყვარხართ თიკო მასწავ!” – სახლერებს იქით გაატანეს სითბო ხმამაღალ შემახილს.

შემდეგ თანდთან გაიხარდნენ და,

დას, დიდი ამბიციებით – სკოლაში ელიტარულეები გახდნენ საკუთარი აკადემიური მოსწრების, კრეატიულობისა და მისწრაფებების წყალობით. და იმიტომაც, რომ მათი დამრიგებელი გემოვნებანი, ღამაში, ერუდირებული, თეატრზე შეყვარებული ფრაუ ხათუნა გახდა. ხათუნა ჩხიკვაძე ყველასა და ყველაფერზე ზრუნავდა, იმამეც, კარგად ესწავლათ, იმამეც, გაკეთილები არ გაცდინათ და იმამეც, გემოვნება დახვეწოდათ. სკოლის კარამდე მან მიაცილა მეთორმეტე მეთრე, ოღონდ უკვე მის გამოსახურად.

განსაკუთრებული იყო დამრიგებლის მილოცვა. ეცადა, მაგრამ მის ბოლო დარიგებას მაინც მოუსწრო ცრემლმა. და სიურპრიზი, რომელიც მან “მის ბავშვებს” მოუწყო – გამოსაშვები საღამოს წინა დღეს მთელი კლასი ქუთაისში, მესხიშვილის თეატრში დაპატიჟა. გოგოლის “რევიზორი” ნახეს, გადამლილ წიენად რომ იქცევა ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლის წინ. ასე ხათუნა მასწავლებელს სჩვევია მხოლოდ. საკუთარ სადამრიგებლოს ბავშვობის გასაფართან კიდევ ერთი ინტელექტუალური და გემოვნებიაანი საღამო უსაგზლა.

ემოციებად დაიღვარა ღამაზად მოუბარი მათა ლორია, ქართული ენისა

და ლიტერატურის პედაგოგი, რომელიც იმადროულად ამ კლასის მშობელიც გახლავთ, ისე ჯავახიანის დედა: “ჩემო კარგო ქვეყანავ! ჩემი იესეს თაობა მოდის... ღალი, თავისუფალი, ღირსეული, თავმოყვარე და კეთილშობილი, ნიჭიერი და გულისხმიერი, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი შენი! იქნებ მავანს სისხლდამრეტილი ჰგონია იგი, უკეთ იცი, ქართული ეროვნული ენერგია წყაროსთვალაია, არ შრება, იმის სიღრმეს მაცილებაცილი ვერ სწვდება. ამაოების ჭუჭყი მათი გულისა და სულის წალკოტს ვერ შეეხება. შენი წიადისანი არიან, შენი წმინდა წყლის შვილები! მიიღე, იცან და გადამირჩინე!”

მათა მასწავლებლის ინიციატივით მათ სკოლას კიპარისი უსახსოვრეს, საკუთარი ხელით რომ დარგეს. ნერგი მათა მასწავლებელმა მოუტანათ, რამეთუ იგი უფლის ხეა და სკოლის ეზოში ამიტომაც უნდა დაედო ბინა: “ჩემო კარგო ქვეყანავ, გიხაროდენ! მათ უკვე “რა ეჭისას” ციხე კარი გაუღეს – სკოლის ეზოში ჭაობის კიპარისი დარგეს მარადიულზე ფიქრითა და ზრუნვით... მე უბრალოდ ფრთები გავუსწორე მათ!” დიდი ხნის თხოვნა შეისრულა მათა ლორიამ შეილის თანაკლასელებს, ლექსი უძღვნა მათ.

“გვიყვარხართ ყველა, ყველა მასწავლებელი, ვგრძნობთ, ვიცი თქვენი შრომის, ჩვენზე დახარჯული მზრუნველობის ფასი. ვიცი, ყველა გაბრუნებას გვაპატიებთ, ჩვენს სიყვარულად მიიღებთ და ღიმილით მოიგონებთ. ამიერიდან კიდევ ბევრი წელი, ქუნაში შეხვედრისას ჩვენი თბილი ღიმილი და სიყვარული შემოგეგებებთ. მაღლობა ამ სკოლის დირექტორს, ვაწონასწორებულ, მაგრამ საჭირო დროს მკაცრ, ზოგჯერაც აღერსიან და მეგობრულ ლენა ხაყალიას. სკოლის, ესე იგი, ჩვენი წარმატებები მისი დამსახურებაა.”

მერე გამოსაშვები საღამოც, როგორც ამ კლასის სჩვეოდა განსაკუთრებული და ზღაპარივით ღამაში. ეს პატარა კონცერტი იყო, ყოველგვარი იმპროვიზაციისა და წინასწარი მომზადების გარეშე!

ამიერიდან ამ დიდფანჯრიან შენობას სიყვარული და მონატრება მოაგონებთ. ამიერიდან “შეცხრე ცას შეეხედოთ, სივიჟე გვეწვია!”, უკვე შეჭაღარავებულემასაც კი მუდამ ეხსობებთ ეს 18 მაისი. კიდევ ბევრი, კიდევ ბევრჯერ დაირეკება მე-11 საჯარო სკოლაში ზარი, სიმბოლურად “ბოლო ზარი” რომ დაარქვა, ვინ იცის, ვინ. კიდევ ბევრი თაობა ითხოვს – “გზა დაგვილოცეთ”, რათა შემდეგ თავად გახდნენ სხვების

## მაია ლორიას საჩუქარი კურსდამთავრებულებს

არ გაბედო, მამულს ზურგი შეაქციო,  
არ დახარბდე სხვის ბრწყინალა რამერუმეს,  
ჩემი ღზინი სხვის ნადიმზე არ გაცვადო,  
ამ ცასაგით სხვა გერაფინ დაგაპურებს!  
არ გაბედო გეფხის ტყავი განიმოსო,  
ეს იები მიმიტოვო, ვაჟასანი...  
ცრემლით კვალში ჩავიდგები, მოგაბრუნებ...  
მოგაბრუნებ ქართულ სიტყვით ნაკვდავი და ნაისრალი!  
შენ თუ არა, იფორთაში ვინ მიმიყვანს,  
ვინ გავგაღავს სველ ქვიშაზე ვაგრის ნაპირს,  
არ გაბედო, ცისკარს უცხო შეეგებოს, შენი წილი საქართველო ჩემთან არის!  
იქ რას ეძებ?! რაც დაკარგე ვერ იბოვი,  
გაზი ტირის ვასხლეული და გაუსხლავი,  
უაღერსოდ, უფესეებოდ ვულნატკენო  
ქართულ მერცხლებს აჯობე და მოუსწარი!  
არ გაბედო, მამულს ზურგი შეაქციო...  
მოგაბრუნებ, “ენა ტკბილად მოუბარი!”

გზის დამლოცავი. სასწავლო წელი ისევ დასრულდა გულწრფელი სიყვარულით და იმის მონატრებით, რაც იყო და რაც უკვე ტკბილად მოსაგონარ ბავშვობაში დარჩა. მშესთან ერთად გველოთ მზესავით ღამაზად! და მზე დაგეტოვებინოთ ამ კერაზე, ამ ფუქსზე, ჩვენგან, მათგან, სხვებისგან, ბევრისგან დალოცვილზე!

# გავხვთა დასვის დღეს მიღობათ, გავხვებო!

დღი ხნის წინ გამოაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1-ლი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ.

თუმცა, სულაც არ იყო საჭირო ქართველი კაცისათვის იმისი შეხსენების აუცილებლობა, რომ განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება, სითბო და სიყვარული სჭირდებათ ბავშვებს ჩვენგან, უფროსებისგან.

დღი და განუსაზღვრელია მშობლების, ოჯახის, სკოლის, საზოგადოების როლი ცეროდენა და ნეკოდენა გოგობიჭების ღირსეულ აღზრდად ჩამოყალიბების საქმეში.

განსაკუთრებულად დიდა ოჯახის როლი დღევანდელ ყოფაში, როცა მსოფლიო ესოდენ ახლობელი გახდა ყველასათვის, როცა თანდათან ღრმავდება გლობალიზაციის პროცესი.

ვაუკაცობაა ამ რთულ პროცესში საკუთარი ნიშა, ადგილი დაიკავო ისე, რომ უარი არ ვუთხრათ მამა-პაპათა ტრადიციებს დროის ქარცეცხლში რომაა ნაწრთობი.

სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ყურადღების გარეშე ძნელია ღირსეული აღზრდის აღზრდა, აღნიშნავს ერთგან დავით ლორთქიფანიძე, კაც მუცნიერი, მთელი ცხოვრება მომავალი თაობების აღზრდას რომ მოახმარა, სრული ჭეშმარიტებაა ამ სიტყვებში.

“მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მივულოცო პატარებს, ჩვენი ქვეყნის იმედსა და ხვალისდელ დღეს – ბავშვებს.

წლების მანძილზე ვეწეოდი პედაგოგიურ საქმიანობას, დაუვიწყარია ეს წლები ჩემთვის. ღრმად მწამს, წიგნიერება, განათლება, ძიება საჭირო საიმისოდ, რომ ღირსეული ადგილი დაიკვიდრონ საზოგადოებაში ჩვენმა მომავალმა, ბავშვებმა.

ლიმილიანი, ბედნიერი ყოფილიყოს ყველა ბავშვი პლანეტაზე”. – განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” მუნიციპალიტეტის საერებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ჯამბურამ.

1-ლი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა! გილოცავთ!

გილოცავთ!

ლევან ბაგინავა



## მაისობდა სამტრედია

მრავალფეროვანი, კარგად გააზრებული და ორგანიზებული ღონისძიებებით გამოირჩევა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. მიღობარ იქ და იცი, რაღაც ახალს, მანამ არნახულს რომ უნდა ეხიარო.

ასე იყო 26 მაისსაც.

ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე ამ თბილი კერის აღსაზრდელებმაც აღნიშნეს, დარბაზიდან გარეთ ვეება ვერხვის ძირში გამოვიდნენ და მის ჩრდილქვეშ სახალხოობა ამ მხრივ მიანიჭეს ღონისძიებას.

აქაც ფოლკლორული განყოფილება და ანსამბლები, რომელთა პანგებსაც არაერთხელ აუთრთოლებია მაყურებელთა სულის სიმეტი. ზედმიწევნით ზუსტად გაისხენეს ახალგაზრდებმა 1918 წლის 26 მაისიდან 1991 წლამდე პერიოდი, მომდევნო წლებიც ობიექტურად შეაფასეს, ძმობას, მშვიდობას, თავისუფლებას უმღერეს და...

ასე გახდა საოცრად დასამახსოვრებელი მაისის 26-ს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გამართული ღონისძიება, რომლის მონაწილეს ბავშვებთან ერთად ამ დღისთვის აქ მისული თანაქალაქელები იყვნენ.

ღონისძიების დასრულების შემდეგ მისმა მონაწილეებმა კიდევ ერთხელ დაათვალიერეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოფენილი ექსპონატები.

ლამაზი ღონისძიებით ლამაზადვე აღნიშნეს დამოუკიდებლობის დღე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში.

ლამაზი ღონისძიებით ლამაზადვე აღნიშნეს დამოუკიდებლობის დღე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში.

ლამაზი ღონისძიებით ლამაზადვე აღნიშნეს დამოუკიდებლობის დღე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში.

ლამაზი ღონისძიებით ლამაზადვე აღნიშნეს დამოუკიდებლობის დღე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში.

ლამაზი ღონისძიებით ლამაზადვე აღნიშნეს დამოუკიდებლობის დღე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში.

ლამაზი ღონისძიებით ლამაზადვე აღნიშნეს დამოუკიდებლობის დღე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში.

ლამაზი ღონისძიებით ლამაზადვე აღნიშნეს დამოუკიდებლობის დღე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში.



ლევან ბაგინავა

## საგაზაფხულო კვირეული პირველ სკოლაში

მისი უდიდებულესობა გაზაფხული შემოქმედებითი იმპულსების გაძლიერების საბაბია. პირველი საჯარო სკოლის (დირექტორი ხათუნა ფაილაძე) უმცროსკლასელებმა წელიწადის ამ ულამაზეს დროს კვირეული მიუძღვნეს სახელწოდებით “გაზაფხულის სურნელებამ დამათრო.” იდეა სკოლის დაწვებითების კათედრის გამგეს, ხანგრძლივი პედაგოგიური სტაჟის მქონე ქალბატონს, რუსუდან წიქვაძეს ეკუთვნის. როგორც “სამტრედიის მაცნესთან” საუბარში ქალბატონმა რუსუდანმა განაცხადა, საოცარი ენთუზიაზმი გამოიჩინა ყველა პედაგოგმა, მოსწავლეთათვის ეს დღეები წარუშლელად ლამაზი და საინტერესო რომ ყოფილიყო. პირველ დღეს გაიმართა კალიგრაფიის კონკურსი “ვწერთ სუფთად და ლამაზად”, მეორე დღე მოლბერტთან მუშაობას დაეთმო, აქციის სახელწოდება იყო “ფერები, ფერები, ფერები”. მესამე დღეს მხატვრული კითხვა მოეწყო სახელწოდებით “ჩემი გაზაფხული”. სიმღერას კვირის მეოთხე დღე დაუთმეს, ქორეოგრაფიას კი, მეხუთე. ნორჩებმა სკოლის ფოიე ულამაზესად მოხატეს და დაამშვენეს. ასევე მოეწყო ერთ-ერთი მშობლის მიერ დამზადებული ხელნაკეთი ვეაილების გამოფენა.

ნათია ნაცვლიშვილი



# „აი იაჲს“ რიდი სივრცეებისკენ...

ნათია ნაცვლიძე

**მეთორმეტე საჯარო სკოლის დარბაზს არაერთი ღამეა ღონისძიებისათვის უმასპინძლია. ამჯერად ისაზნისფრად მოურთავთ აქაურობა, ყვავილებიც ამ ფერისანი დომინანტობენ, პატარა ვოგო-ბიჭების სამოსიც ამავე ფერშია გადაწყვეტილი. პირველკლასელები ანბანს აცილებენ. პედაგოგ ნინო გუნიას დაუკავლიანებულ-დაფრთიანებული მოსწავლეები მთელი წლის მანძილზე მიღებულ ცოდნას აჯამებენ და ლექსით, სიმღერითა და ცეკვით ეუბნებიან მადლობას დედა-ენას, ერის ბურჯას და უპირველეს საუნჯეს. ამ პატარებმა ხომ სამშობლოს ჭაბანი უნდა ზიდონ და თუ როგორ, ამას ახლა, დედა-ენის ფურცელასა და შრიალში სწავლობენ.**

